



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**



N 32, 2021

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
ევროპაში გაზის ფასი კვლავაც რეკორდული სისწრაფით იზრდება.....	2
აშშ-მა რუსული მილსადენის “რისკების შესამცირებლად” სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
კოსმოსური მზის პანელები უზრუნველყოფენ დედამიწას ამოუწურავი ენერჯით.....	3
ქარის პირველი სადგური 1887 წ. შოტლანდიაში აშენდა, როდესაც ელექტროენერგია “ემშაკის საქმედ” ითვლებოდა	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
აზერბაიჯანი მწვანე წყალბადით დაინტერესდა.....	4
მზის ენერჯია აგრომეურნეობაში – სოფლის განვითარების პროგრამას “მწვანე გრანტები” დაემატა	4
კლიმატის ცვლილება.....	5
ბილ გეთის კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად 1,5 მილიარდს გამოყოფს	5
2021 წლის ივლისი დედამიწის ყველაზე ცხელ თვედ დასახელდა.....	5
პუბლიკაციები.....	6
ღონისძიებები	6

ნავთობი და გაზი

ევროპაში გაზის ფასი კვლავაც რეკორდული სისწრაფით იზრდება

ევროპაში გაზის 11 აგვისტოს, დღის ბოლოს, 4.37%-ით გაიზარდა.

ნიდერლანდურ TTF-ში გაზის სექტემბრის ფიუჩერსების ღირებულებამ ათას კუბურ მეტრზე 560 აშშ დოლარს მიაღწია. თუმცა, სავაჭრო სესიის ბოლოს მისი ღირებულება დაახლოებით 535 აშშ დოლარამდე დაეცა.

Financial Times-ის ცნობით, გაზზე ფასის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი არის ის გარემოება, რომ “გაზპრომმა” უარი თქვა უკრაინის გავლით დამატებითი მოცულობების მიწოდებაზე, რომელიც ევროპაში ექსპორტის გაზრდას ისახავდა მიზნად.

Financial Times-სთან ინტერვიუში, “უკრაინის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სისტემის” გენერალურმა დირექტორმა, სერგეი მაკოგონმა განაცხადა, რომ ფასების ზრდა ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა. მან აღნიშნა, რომ რუსული “გაზპრომი” ევროპაში გაზის მიწოდებას განზრახ აჩერებს.

<https://cutt.ly/9QLdORp>

აშშ-მა რუსული მილსადენის “რისკების შესამცირებლად” სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა

აშშ სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ყოფილი დიპლომატი ამოს ჰოჩსტეინი ენერგო უსაფრთხოების საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა. მისი მთავარი ფუნქცია რუსული მილსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შედეგად წარმოქმნილი „რისკების შემცირება“ და აღმოსავლეთ ევროპის ენერგო დამოუკიდებლობის გამყარება იქნება.

10 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში ბლინკენი ამბობს, რომ ამ პოზიციაზე ჰოჩსტეინის დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი მზადაა „შეეწინააღმდეგოს კრემლის მიერ ენერგორესურსების გეოპოლიტიკურ ბერკეტად“ გამოყენებას და ხელი შეუწყოს უკრაინის, ნატოს წევრების და ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხო და მდგრად ენერგო განვითარებას.

გერმანიამ და შეერთებულმა შტატებმა „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ზე შეთანხმებას 2 ივლისს მიაღწიეს, რითაც ორ მოკავშირეს შორის წლების მანძილზე არსებული უთანხმოება დასრულდა. ამერიკა წლების მანძილზე ეწინააღმდეგებოდა რუსულ მილსადენს, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გადის და უკრაინის გვერდის ავლით, გერმანიაში გაზის ჩატანას გეგმავს.

ბერლინმა და ვაშინგტონმა ერთობლივად პირობა დადეს, რომ უკრაინას მხარს დაუჭერდნენ და დახმარებას გაუწევდნენ მას შემდეგ, რაც ქვეყანა რუსეთისგან სატრანზიტო შემოსავალს დაკარგავს. შეთანხმებაში პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და კანცლერმა ანგელა მერკელმა ასევე განაცხადეს, რომ მზად არიან რუსეთის მხრიდან ენერგორესურსების პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას შეეწინააღმდეგონ.

სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან მოსალაპარაკებლად გერმანიამაც დანიშნა. ბერლინი ცდილობს რუსეთი დაიყოლიოს უკრაინასთან არსებული სატრანზიტო შეთანხმების 10 წლით გაგრძელებაზე. მიმდინარე შეთანხმებას ვადა 2024 წელს გაუვა.

<https://cutt.ly/hQLdAkV>

ელექტროენერგეტიკა

კოსმოსური მზის პანელები უზრუნველყოფენ დედამიწას ამოუწურავი

ენერგიით

კალიფორნიის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა (Caltech) მიიღო 100 მლნ დოლარის დაფინანსება კოსმოსური მზის ენერჯის პროექტისთვის (SSPP), რომელიც შეიმუშავებს ტექნოლოგიას, რითაც შესაძლებელი იქნება კოსმოსში მზის ენერჯის გენერირება და მისი დედამიწაზე გადმოცემა.

Caltech აღწერს პროექტს, როგორც „მზის ენერჯის შეგროვებას კოსმოსში და ამ ენერჯის დედამიწაზე უსადენო გადაცემას მიკროტალღებით, რაც უზრუნველყოფს ისეთი ენერჯის ხელმისაწვდომობას, რომელიც არ არის დამოკიდებული ამინდზე და დღე-ღამის პერიოდზე“.

მზის ენერჯია ყველგან არის დედამიწაზე, მაგრამ იგი ბევრად არის დამოკიდებული ამინდზე, სეზონზე და დღე-ღამის მონაკვეთზე. იდეალურ პირობებშიც კი არც ერთ პანელს არ შეუძლია სრული სიმძლავრით იმუშაოს მთელი დროის განმავლობაში, ხოლო ორბიტაზე მყოფი მზის პანელი შეიძლება მუდმივად იყოს მზის სხივების ქვეშ ამ სხივებიდან მომდინარე ენერჯის სიმძლავრის შემცირების გარეშე.

პროექტის პირველი გამოცდა შედგება 2023 წლის დასაწყისში. მზის ენერჯის გენერატორების და ენერჯის რადიოსიხშირული უსადენო გადაცემის პროტოტიპებს ექნებათ გასაშლელი კონსტრუქციის სახე ზომებით დაახლოებით 1.8 X 1.8 მეტრზე.

ამჟამად მკვლევარები მუშაობენ ენერჯის შეგროვების მეთოდებზე, რაც პირველ რიგში უნდა მოხდეს, და ამ ენერჯის დედამიწის ზედაპირზე გადმოსაცემად ისე, რომ დიდი ნაწილი არ დაიკარგოს გზაში.

<https://cutt.ly/fQLdHJS>

ქარის პირველი სადგური 1887 წ. შოტლანდიაში აშენდა, როდესაც

ელექტროენერჯია “ემშაკის საქმედ” ითვლებოდა

მექანიკური ენერჯის მისაღებად ქარის ენერჯიას კაცობრიობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდა, ხოლო ელექტროენერჯის მისაღებად მისი გამოყენება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო.

ელექტროენერჯის წარმოებისთვის ქარის პირველი სადგური 1887 წ. შოტლანდიაში ინჟინერმა ჯეიმს ბლაითმა (James Blyth) ააშენა.

მოწყობილობა გამოიყენებოდა იმ აკუმულატორის დასამუხტად, რომელიც აგარაკს ანათებდა. ბლაითმა მეზობლებს შესთავაზა, ჭარბი ელექტროენერგიით მათი სახლებიც გაენათებინა, მაგრამ უარი მიიღო: ადგილობრივები თვლიდნენ, რომ ელექტროენერგია “ემშაკის საქმე” იყო

2020 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ქარის ელექტროსადგურების დადგმულმა სიმძლავრემ 774 000 მგვტ შეადგინა. სიმძლავრის მიხედვით პირველ ადგილზეა ჩინეთი, შემდეგ – აშშ, გერმანია, ინდოეთი, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი.

<https://cutt.ly/aQLdJNT>

განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა

აზერბაიჯანი მწვანე წყალბადით დაინტერესდა

აზერბაიჯანი დაინტერესებულია უახლოეს მომავალში მწვანე წყალბადის განვითარებით და აქტიურად ცდილობს აღნიშნული მიმართულებით ევროპული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ხსენებული მიზნით, აზერბაიჯანის ენერგეტიკის სამინისტროსა და ნორვეგიული კომპანია Equinor-ის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა, რომელიც ორგანიზებული იყო ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, მწვანე წყალბადის სფეროში ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლისა და გაზიარებისთვის.

ღონისძიებაზე ხაზი გაესვა მდგრადი ენერჯის ახალი მიმართულებების, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯისა და წყალბადის ენერჯის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას.

შეხვედრის მთავარი საკითხი აზერბაიჯანში წყალბადის მომავალი პროექტების განხორციელება იყო, მონაწილეებმა ასევე განიხილეს მისი ეკონომიკური ეფექტურობა ელექტროენერჯის ბაზარზე და განვითარების ახალი სტრატეგიები.

<https://cutt.ly/JQLdZbL>

მზის ენერგია აგრომეურნეობაში – სოფლის განვითარების პროგრამას “მწვანე გრანტები” დაემატა

„სოფლის განვითარების პროგრამის“ ახალი მიზნობრივი კომპონენტი – მწვანე გრანტები (GMG) დაემატა.

მწვანე გრანტების კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს: მარტივი მზის გამათბობელი და მზის წყლის გამაცხელებელის თანადაფინანსებას, (sSWH/sSAH) სადაც სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის ოდენობა 1,000 ლარამდეა (გრანტი 90 %-მდე), პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის თანამონაწილეობა განისაზღვრა მთლიანი ღირებულების არანაკლებ 10%-ით; ვაკუუმური ტიპის მზის წყლის გამაცხელებლები (vSWH): სადაც სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა 3 000 ლარამდეა (გრანტი 80%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა განისაზღვრა

მთლიანი ღირებულების არანაკლებ 20%-ით; შენობის თბოიზოლაცია: სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა 8 000 ლარამდეა (გრანტი 70%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობად განისაზღვრა მთლიანი ღირებულების არანაკლებ 30%-ით; შენობის სრული თბოიზოლაცია: სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი გრანტის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 12 000 ლარამდე (გრანტი 60%-მდე), ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობად მთლიანი ღირებულების არანაკლებ 40% – ით.

„სოფლის განვითარების პროგრამას“ სოფლის განვითარების სააგენტო (RDA) ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 30-ზე მეტი პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულება 5,5 მლნ ლარს აჭარბებს, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანადაფინანსება 3.7 მილიონ ლარზე მეტია.

გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის ანა ჩერნიშოვას თქმით, პროექტის ფარგლებში, 8 მუნიციპალიტეტისთვის, დაახლოებით, 700 000 დოლარია გამოყოფილი.

„ვიმედოვნებთ, მომავალში მეტი მსგავსი პროექტი განხორციელდება ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების დანერგვისთვის“, – განაცხადა პროგრამის ხელმძღვანელმა.

<https://cutt.ly/GQLdCIj>

კლიმატის ცვლილება

ბილ გეიტსი კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად 1,5 მილიარდს გამოყოფს

ბილ გეიტსი კლიმატის ცვლილებებთან საბრძოლველად 1,5 მილიარდს გამოყოფს

მაკროსოფტის დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ მისი ფონდი 1.5 მილიარდ აშშ დოლარს შესწირავს აშშ-ს მთავრობასთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კონგრესი მიიღებს პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიების შემუშავებას, რომლებიც ნახშირბადის ემისიებს ამცირებენ. ამის შესახებ გამოცემა Wall Street Journal წერს.

გამოცემის ცნობით, საუბარია ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაზე, რომლის ღირებულებაც ჯამში \$ 1.2 ტრილიონია. პროექტი კონგრესმა ამ კვირაში დაამტკიცა. ახლა კანონპროექტი უნდა დამტკიცდეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში.

ცნობისთვის, ბილ გეიტსმა უმდიდრესი ადამიანების სიაში მე-5 ადგილზე გადაინაცვლა. მისი ქონება ამჟამად 129,6 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული.

<https://cutt.ly/mQLdVC9>

2021 წლის ივლისი დედამიწის ყველაზე ცხელ თვედ დასახელდა

2021 წლის ივლისი იყო ყველაზე ცხელი თვე მსოფლიოში. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის ოკეანისა და ატმოსფეროს ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

დეპარტამენტის მონაცემებით, ივლისში დედამიწის ზედაპირისა და ოკეანის მთლიანი ტემპერატურა 1,67 გრადუსით აღემატებოდა მე-20 საუკუნის საშუალო ტემპერატურას, რომელი 15,8 გრადუსს წარმოადგენდა.

ექსპერტების თქმით, მაჩვენებლის რეკორდული ნიშნული კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი გავლენის შედეგია.

<https://cutt.ly/AQLdMXb>

პუბლიკაციები

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ინგლისურენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

ღონისძიებები

მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

ICSD 2021 : მე-9 საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე

თარიღი: 08-09 სექტემბერი, 2021

ადგილი: რომი, იტალია

თემები: კლიმატი, განახლებადი ენერჯია, წყლის და ნიადაგის კონსერვაცია

<https://www.eceee.org/events/calendar/event/icsd-2021-9th-international-conference-on-sustainable-development-8-9-september-2021-rome-italy-1/>

მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021.4.en.2.1.13.html>

მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერგეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა "Kostis Palamas"

<https://promitheasconference.wordpress.com/>

